წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შ.პ.ს. ,,ენგურჰეს"-თან დაკავშირებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეს დებულება საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის „კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შ.პ.ს ,,ენგურჰეს"-თან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებას, თავმჯდომარისა და წევრების უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 1. სამუშაო ჯგუფის სტატუსი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან სამუშაო ჯგუფი იქმნება შ.პ.ს ,,ენგურჰესის" წალენჯიხის ტერიტორიაზე მდებარე ქონების რეალური ,(საბაზრო ფასთან მიახლოებული) ღირებულების დასადგენად და საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად.

სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესი განისაზღვრება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება.

სამუშაო ჯგუფი:

ა) ჯგუფი უფლებამოსილია შ.პ.ს ,,ენგურჰესიდან" გამოითხოვოს ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციები,გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ანალოგიური სიმძლავრისა და მოცულობის ჰესების ღირებულების მიხედვით,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ქონების ღირებულების შესახებ მოამზადოს დასკვნა და წარუდგინოს საკრებულოს განსახილველად.

ბ) საქართველოს მთავრობასთან წარსადგენად შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები და წარუდგინოს საკრებულოს განსახილველად.

გ) ქონების გადასახადის ხელოვნურად შემცირების შედეგად მუნიციპალიტეტისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ წინადადებები წარუდგინოს საკრებულოს.

ე)სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას,თუ სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრების ნახევარზე მეტი.

სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითლება თუ გადასაწყვეტ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრე წევრების ნახევარზე მეტი , მაგრამ არანაკლების სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

ვ)ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტითა და დადგენილებებით მასზე განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზ)ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები ვალდებული არიან სამუშაო ჯგუფის მოთხოვნით დადგენილ ვადებში წარუდგინონ მას შესაბამისი დოკუმენტები,დასკვნები და სხვა მასალები,დაესწრონ სხდომებს,პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს.

ი)სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდეს მინიმუმ თვეში ერთხელ.

მუხლი 3. დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

1 დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს ირჩევს საკრებულო. ჯგუფის თავმჯდომარის არჩევა და გადარჩევა ხდება რეგლამენტით და დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულებით დადგენილი წესით.

2 დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე:

ა)უზრუნველყოფს სამუშაო გეგმის შესაბამისად ჯგუფის მუშობას.

ბ)იწვევს, ხსნის და წარმართავს ჯგუფის სხდომებს

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას.

დ) ადგენს ჯგუფის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხებზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტითა და ჯგუფის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას.

ე) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

ვ)ხელს აწერს ჯგუფის სხდომის ოქმებს.

ზ)მოქმედებს ჯგუფის სახელით

თ)ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ჯგუფის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის უზრუნველყოფა.

დროებითი სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციულ ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება.

ა) დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულებას შეიმუშავებს დროებითი სამუშაო ჯგუფი და ამტკიცებს საკრებულო.

ბ) დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.